www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 16 ივლისი, 2012 წელი. | №3066 (158) | ფასი 50 თეთრი

## წინასაარჩევნო ქცევის წესები პოლიტიკური პარტიებისთვის

დათო გამისონია

უწყებათაშორისი ჯგუფის სხდომის შემდეგ "ნაციონალური მოძრაობის" ახალი ინიციატივის შესახებ გახდა ცნობილი - საარჩევნო კამპანიის დროს ძირითადი ქცევის წესების განსაზღვრის მიზნით, სახელისუფლებო პარტია პოლიტიკური პარტიების ერთობლივი დოკუმენტის გაფორმების წინადადებით გამოვიდა. მალევე "ნაციონალურმა მოძრაობამ" 4-პუნქტიანი დეკლარაცია წარმოადგინა, რომელიც თავისუფალი, სამართლიანი და მშვიდობიანი საარჩევნო კამპანიის გამართვისთვის არის მოწოდებული. **"უარს ვამბობთ ძალადობაზე საარჩევნო კამპანიის პროცესში, სხვა პარტიის კამპანიისა და აქციებისთვის ხელის შეშლაზე, მათ შორის, საკუთარი აქტივისტების მობილიზაციითა და პარალელური აქციების დაგეგმვით,"** - აღნიშნულია დეკლარაციის პირველ პუნქტში. გარდა ამისა, დოკუმენტის თანახმად, პარტიები ამომრჩეველთან შეხვედრისა და კომუნიკაციისას აგრესიის გამოხატვაზე, ძალადობისკენ მოწოდებაზე და უმცირესობების თემებში სიძულვილის ენის გამოყენებაზე უარს ამბობენ. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, პარტიები საგნობრივ დისკუსიაზე ორიენტირებული საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის მზადყოფნას გამოთქვამენ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## ივანიშვილი ერგნეთის ბაზრის აღდგენის პირობას დებს



მაგდა ლეკიაშვილი

"ქართული ოცნების" სხვა აქციების მსგავსად, გორშიც უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები მიიღეს - აქციის მონაწილეებისგან სცენა დაჯავშნული მინით გამოყვეს. შემდეგ კი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდა, მიკროფონი "ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს დაუთმეს. ივანიშვილმა თავისი სიტყვა ქართველებისა და ოსების ურთიერთობებზე საუბრით დაიწყო და აქვე გააჟღერა ახალი ინიციატივა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## უხვი ნალექით გამოწვეული პრობლემები



ხათუნა გაბიევი

იაპონია კიდევ ერთი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. შარშანდელისგან განსხვავებით საქმე ამჯერად არა მიწისძვრასა და ცუნამის ან სტიქიის ამ ფორმის შედეგად ბირთვულ დაბინძურებას ეხება, არამედ გადაუღებელი წვიმით გამოწვეულ წყალდიდობას. კუნძულ კიუსიუზე საჭირო გახდა 400 ათასზე მეტი ადამიანის ევაკუაცია, მათ შორის, ხელისუფლებას მოუწია, დროებით თავშესაფრებში გადაეყვანა ერთი ქალაქის მოსახლეობა. ფუკუოკას პრეფექტურის ქალაქ იანაგავაში ევაკუაციის მითითება მოსახლეობამ ხელისუფლებისგან ჯერ კიდევ ორი დღის წინ მიიღო.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## ქართული სელის ძაფი - კაცობრიობის ისტორიის 10 გამოგონებას შორის

ბელა ჩეკურიშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერთა მიერ 2009 წელს ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი 34 ათასი წლის წინანდელი ველური სელის ძაფის ბოჭკოები არქეოლოგიის მკვლევარმა ქრის ჰირსტმა იმ 10 საუკეთესო გამოგონებას შორის დაასახელა, რომლებმაც კაცობრიობის ისტორია შეცვალეს.

“თანამედროვე ადამიანი მილიონობითწლიანი ევოლუციის შედეგია, მაგრამ არა მარტო ფიზიკური ცივილიზაციის, არამედ იმ ინოვაციებისა და ტექნოლოგიური გამოგონებების შედეგიც, რომელთაც შესაძლებელი გახადეს ჩვენი გადარჩენა. მე არ მაქვს ლაპარაკი უახლეს i-phone -ებზე. ჩემ მიერ შერჩეული 10 უდიდესი გამოგონება 1.7 მილიონი წლის წინ იწყება,” - წერს ქრის ჰირსტი კომპანია “ნიუ იორკ ტაიმისის” ერთ-ერთ არქეოლოგიურ საიტზე.

მის ჩამონათვალში ქსოვილები მეხუთე ადგილზე დგას. “ტანსაცმლის, ჩანთების, სანდლების, სათევზაო ბადეების მოსაქსოვად საჭირო იყო ძაფი, რომელიც ორგანული ბოჭკოსგან უნდა მიეღოთ. ქსოვილების პოვნა არქეოლოგიურად რთულია და ხანდახან ჩვენ იძულებულები ვხდებით, ჩვენი მოსაზრებები და ვარაუდები დავაფუძნოთ რაღაც სამხილზე, როგორიც არის ბადის შთაბეჭდილება კერამიკულ ქოთანში, ჩაძირული ბადეები მეთევზეთა სოფლიდან.

გაგრძელება მე-6 გვერდზე



| | |
|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6489⇩ |
| 1 ევრო | 2.0311⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5627⇩ |
| 1 თურქული ლირა | 0.9077⇩ |
| 100 რუსული რუბლი | 5.0004⇩ |

| | |
|---|---|
| თბილისი | 31°C - 21°C |
| ქუთაისი | 31°C - 18°C |
| თელავი | 31°C - 18°C |
| ზუგდიდი | 30°C - 18°C |
| ბათუმი | 27°C - 18°C |

| | | | |
|---|---|---|---|
| ნავთობი | 2.76 | +0.04 | +1.43% |
| გაზი | 2.80 | +0.07 | +2.35% |
| ოქრო | 1,577.40 | -2.40 | -0.15% |
| ხორბალი | 815.25 | -6.00 | -0.74% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4 საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

## ძალოსნები ლონდონის სწორზე გავიდნენ

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ძალოსანთა ნაკრები მათ შორისაა, ვინც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მედლებისთვის იბრძოლებს. ყოველ შემთხვევაში, წლეულს, ანტალიის ევროპის ჩემპიონატზე, თერთმეტწლიანი პაუზის შემდეგ რაულ ცირეკიძის (85 კგ.) მიერ ატაცსა და აკვრაში მოპოვებული მცირე ვერცხლის მედლები და ორჭიდის ჯამში ჩემპიონობა ამის თქმის საფუძველს იძლევა, ისევე როგორც ირაკლი თურმანიძის (+105 კგ.) მიერ ატაცში მოპოვებული მცირე ოქროსა და ორჭიდის ჯამში ბრინჯაოს მედალი.

გაგრძელება მე-7 გვერდზე



ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

| | | |
|---|---|---|
| ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს | ~~5.90~~ | 4.90 |
| ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი | ~~9.00~~ | 4.00 |
| ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები | ~~6.90~~ | 3.00 |
| ქართველები ამერიკაში | ~~17.90~~ | 11.90 |
| კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი | ~~15.90~~ | 11.00 |

## გრიგოლ ვაშაძის თქმით, რუსეთი საქართველოს მადლიერი უნდა იყოს

ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის ყოფნის გამო რუსეთი საქართველოს მადლიერი უნდა იყოს, - ამის შესახებ "ეხო მოსკვის" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განუცხადა.

ვაშაძემ აღნიშნავს, რომ საქართველო ავღანეთში თავის კონტინგენს 900-დან 1700 კაცამდე ზრდის, ამის მიზეზად კი კოალიციისა და მიმდებარე სახელმწიფოების საჭიროებას ასახელებს.

"ეს სურს ყველა მიმდებარე სახელმწიფოს, რათა ავღანეთი კვლავ არ იქცეს ალ ქაიდას, ტერორიზმის, გიგანტური ნარკოვაჭრობისა და ა.შ. ბუდედ. მოსკოვში ჩვენ მადლობას უნდა გვიხდიდნენ, რომ ამ კოალიციაში ვმონაწილეობთ. და არცთუ უკანასკნელი დოზით ვაკეთებთ იმას, რაც რუსეთის ინტერესებშია, რადგან, როცა კოალიცია წავა იქიდან, ჯერაც საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები, როგორ უზრუნველყოფს რუსეთი თავისი სამხრეთ საზღვრების დაცვას," - განაცხადა ვაშაძემ.

მისივე თქმით, რაც უფრო ხშირად იფიქრებენ რუსეთში იმაზე, რომ საქართველო ვერასდროს გახდება ნატო-ს წევრი, მით უფრო მალე შევა ქვეყანა ალიანსში.

"მე არ ვიცი, როგორ უნდა განვსაზღვრო ტერმინი "ნატო-ში გაწევრიანების გზაზე". არის პროცედურები, რომლებიც ჩვენ უნდა გავიაროთ. საქართველომ მიიღო "მაპ"-ის შემცვლელი. აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე ყველა ფორმატის შეხვედრაში მონაწილეობდა. თუ თქვენ წაიკითხავთ ნატო-ს ჩიკაგოს სამიტის შემაჯამებელ დოკუმენტს საქართველოს მიმართ, ასევე მოწოდებებს რუსეთისადმი, დაინახავთ, რომ ჩიკაგოს სამიტზე ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი მიღწეული იქნა. ჩვენ მართლაც ახლოს ვართ ნატო-ში გაწევრიანებასთან და ჩვენ აუცილებლად შევალთ ნატო-ში," - აღნიშნა ვაშაძემ.

მინისტრმა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებაზეც ისაუბრა. ვაშაძის თქმით, საზღვრებზე მონიტორინგისთვის შვეიცარიამ კერძო კომპანიების სია წარმოადგინა და, შესაბამისად, საქართველომ და რუსეთმა ერთ-ერთ მათგანზე თანხმობა უნდა მისცენ.

"რუსეთმა პრაქტიკულად უკვე დაასრულა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობის პროცედურა. გაწევრიანების შემდეგი ნაბიჯია ტერმინალების მშენებლობა. ნუ მკითხავთ ვადებს, რადგან ძალიან რთულია იმის თქმა, როდის დამთავრდება ამ ტერმინალების მშენებლობა. ეს ყველაფერი კი აუცილებელია არა მხოლოდ საქართველოსა და რუსეთისთვის, არამედ შვეიცარიისთვისაც, როგორც შუამავლისთვის," - განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

## ამომრჩევლებთან შეხვედრებსა და აქციებს პოლიცია დაესწრება

პოლიტიკური პარტიების აქციებსა და ამომრჩევლებთან შეხვედრებს, პარტიის სურვილის შემთხვევაში, პოლიციის წარმომადგენლები გააკონტროლებენ. ეს შეთანხმება პარტიებსა და უწყებათაშორის კომისიას შორის გუშინწინდელ სხდომაზე გაფორმდა.

როგორც კომისიის ერთ-ერთმა წევრმა თამარ კინწურაშვილმა განაცხადა, ამისთვის პარტიამ კომისიას აქციის ჩატარების შესახებ წინასწარ უნდა აცნობოს, რის შემდეგაც გამოიყოფა ერთი საკონტაქტო პირი შსს-დან, რომელიც სიტუაციას ადგილზე გააკონტროლებს. საჭიროების შემთხვევაში კი, მისი ინფორმაციის საფუძველზე საქმეში პოლიცია ჩაერევა.

“ეს შეთანხმება იმისთვის შედგა, რომ თავიდან ავიცილოთ აქციებზე ფიზიკური დაპირისპირებები,” - აღნიშნა კინწურაშვილმა.

მისივე თქმით, პოლიტიკური პარტიების აქციებსა და ამომრჩევლებთან შეხვედრებზე პოლიციის დასწრების ინიციატივა მერეთის ინციდენტის შემდეგ გაჩნდა.

შეთანხმებას მხარს უჭერენ”ეროვნულ-დემოკრატები”,”ქრისტიან-დემოკრატები”,”ნაციონალური მოძრაობა”,”ქართული დასი” და”ჩვენ თვითონ”.

***საქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!***

ლიცენზირებული რეგისტრატორი
**სს „კავკასრეესტრი”**
გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.
***მომსახურების საფასური 17 ლარიდან.***
თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

# წინასაარჩევნო ქცევის წესები პოლიტიკური პარტიებისთვის

პირველი გვერდიდან

დეკლარაციის მე-2 პუნქტი მიუთითებს, რომ პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლის მოსყიდვაზე უარს ამბობენ.

მე-3 პუნქტში კი აღნიშნულია: **"მზად ვართ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შეზღუდვის შესახებ ცესკო-ს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციები განუხრელად დავიცვათ."**

ბოლო, მე-4 პუნქტის თანახმად, პოლიტიკური პარტიები პასუხისმგებლობას იღებენ ცესკო-ს მიერ შეჯამებული და სანდო რეპუტაციის მქონე სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული არჩევნების შედეგების აღიარებაზე.

"ნაციონალური მოძრაობის" დეკლარაციასთან მიერთებისთვის მზადყოფნა "ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ," "ახალმა მემარჯვენეებმა" და "ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ" გამოთქვეს.

"ქრისტიან-დემოკრატი" გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს, რომ ეს დეკლარაცია კიდევ ერთი ბერკეტი იქნება, რათა ხელისუფლებამ ადმინისტრაციული რესურსის უკიდეგანო გამოყენების ტრადიცია დაარღვიოს. თუმცა, დასძენს, რომ "ნაციონალური მოძრაობის" მიერ შეთავაზებული პარტიების ქცევის წესების დამრღვევი, შესაძლოა, თავად ხელისუფლება გახდეს.

"ახალი მემარჯვენეების" წევრი მამუკა კაციტაძე "24 საათთან" აღნიშნავს, რომ დეკლარაციის პირველი სამი პუნქტი არათუ მისასალმებელია, არამედ "მემარჯვენეებს" მათი დარღვევის არანაირი რესურსი არ აქვთ. რაც შეეხება მე-4 პუნქტს, მამუკა კაციტაძის თქმით, "ახალ მემარჯვენეებს" პოლიტიკური ცხოვრების განმავლობაში არჩევნების მნიშვნელობის საკითხზე თავიანთი დამოკიდებულება არაერთხელ გამოუხატავთ. **"მით უმეტეს, 2012 წლის საარჩევნო გარემო გაცილებით გაუმჯობესებულია, რაშიც ჩვენც ვმონაწილეობთ. ამიტომ, არჩევნები ისე არ ჩატარდება, რომ უნდობლობა გამოიწვიოს,"** - აღნიშნავს მამუკა კაციტაძე. მისი თქმით, დეკლარაციაზე ხელმოწერა საარჩევნო პროცესს შენაძენს მოუტანს. **"თუმცა, ერთია დოკუმენტი, რომელსაც ვუერთდებით და მეორეა ის, თუ რა შედეგები მოჰყვება ერთობლივი დეკლარაციის გაფორმებას. მას პოლიტიკური და პიარის დანიშნულება აქვს. დეკლარაციის მიღმა პოლიტიკურ პარტიებს უნდა ჰქონდეთ ნება და მზადყოფნა დოკუმენტში აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად,"** - მიიჩნევს მამუკა კაციტაძე.

"ქართული ოცნების" წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა "24 საათს" უთხრა, რომ კოალიცია ეთიკური წესების შემუშავების წინააღმდეგი არ არის. თუმცა, როგორც ქუცნაშვილი აღნიშნავს, "ნაციონალური მოძრაობის" დეკლარაციის ბოლო პუნქტში მოცემული წინადადება, რომელიც, მისი თქმით, არჩევნების შედეგების უპირობო აღიარებას გულისხმობს, "ქართული ოცნებისთვის" მიუღებელია.

ქუცნაშვილის თქმით, "ქართულ ოცნებას" ამ საკითხზე თავისი წინადადებები ექნება. **"არ მგონია, სწორი იყოს იმ შედეგების უპირობო აღიარება, რომლებსაც ცესკო გამოაცხადებს. ჩვენი პირობა მარტივია: თუ არჩევნები სამართლიანი, თავისუფალი და არაძალადობრივი იქნება, შედეგებს ვაღიარებთ. არ იქნება, არ ვაღიარებთ,"** - ამბობს ზაქარია ქუცნაშვილი.

ქუცნაშვილის თქმით, ქართველმა ხალხმა უნდა განაცხადოს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა. **"არჩევნების ლეგიტიმაციის წყაროდ ქართველი ხალხი უნდა დარჩეს. საერთაშორისო დამკვირვებლებს ვთხოვთ, პროცესს დააკვირდნენ, რათა დარღვევები და შეუსაბამობები შეფასების გარეშე არ დარჩეს,"** - აღნიშნავს ზაქარია ქუცნაშვილი. მისი თქმით, კოალიცია ქვეყანაში მშვიდობიანი ცვლილებების მომხრეა და აქედან გამომდინარე, ამ მიზნის მისაღწევად თანამშრომლობას არ უარყოფს.

ქუცნაშვილის ინფორმაციით, "ქართული ოცნება" უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში ხელისუფლების წამომადგენლებს შეხვდა, თუმცა "ნაციონალურმა მოძრაობამ" დარღვევების ფაქტების შემსწავლელი კომისიის სხდომა ბოროტად გამოიყენა და პოლიტიკური ინიციატივები ისე გამოაცხადა, რომ ერთგვერდიანი დოკუმენტიც არ მოუტანია. **"კომისიის სხდომა "ნაციონალურმა მოძრაობამ" თავისი პოლიტიკური კონიუნქტურის შესასრულებლად ჩაითრია. იმედს გამოვთქვამ, ეს კომისია "ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივების შექმნის არენა არ გახდება. მას ინიციატივების წარმოსაჩენად ფაქტების შემსწავლელი კომისიის სხდომა არ უნდა სჭირდებოდეს,"** - მიიჩნევს ზაქარია ქუცნაშვილი.

ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პარტიის წევრი აცხადებს, რომ კოალიცია უწყებათაშორის სახელმწიფო კომისიასთან ითანამშრომლებს და მშვიდობიანი, თავისუფალი არჩევნების ჩატარების მომხრე ყველა ძალასთან ექნება ურთიერთობა, მაგრამ "ნაციონალური მოძრაობის" გულწრფელობაში ეჭვი შეაქვს. **"თუ საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების დაინტერესება არსებობს, საარჩევნო კამპანიის დროს ჩადენილი დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დატოვონ. საზოგადოება თავიანთ განზრახულობასა და გულწრფელობაში დაარწმუნონ და ჩვენ მათთან თანამშრომლობას გავაგრძელებთ. კარალეთის დანაშაულის გამოუძიებლობა "ნაციონალური მოძრაობის" გულწრფელობას ეჭვქვეშ აყენებს. თუ ეთიკის კოდექსს გვთავაზობენ, ეს დანაშაულები გამოიძიონ. ამ დანაშაულის დამკვეთები თვითონ არიან. ჩვენ დანაშაულის გამოძიებას პრინციპულად ვითხოვთ და არ მიგვაჩნია, რომ ქვის მსროლელები და დაზარალებულები ერთნაირად, თანაც ადმინისტრაციული წესით უნდა ისჯებოდნენ. ვინც ქვას ისროდა, სისხლის სამართლის წესით უნდა დაისაჯოს, დაზარალებულები კი საერთოდ არ უნდა დასაჯონ,"** - მიიჩნევს ზაქარია ქუცნაშვილი.

რაც შეეხება დეკლარაციის პირველ 3 პუნქტს, როგორც ქუცნაშვილი ამბობს, მასში ახალი არაფერია, ეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო წესებია. **"დეკლარაცია კარალეთის დანაშაულის გადაფარვის მცდელობა და უხეში, გაუაზრებელი ფორმით გაკეთებული მოწოდებაა, არჩევნების შედეგები უპირობოდ ვაღიაროთ. ცდილობენ, თავისუფალი, მშვიდობიანი და სამართლიანი არჩევნების ცემა გვერდზე გადადონ. ხელისუფლებისთვის აღიარებაა მნიშვნელოვანი და არა ის, რაც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში საფუძვლად უდევს არჩევნების აღიარებას,"** - ამბობს ზაქარია ქუცნაშვილი.

დეკლარაციასთან მიერთებას არ აპირებენ "ლეიბორისტები." პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ "24 საათს" უთხრა, რომ ყაჩაღთან თანხმობის დოკუმენტის ხელმოწერა წარმოუდგენელია. მისი თქმით, თუ არჩევნების გამყალბებლები დაისჯებიან და ცივილიზებულ წესებს ყველა დაექვემდებარება, დეკლარაციის გაფორმების საჭიროება არ იქნება. გუგავა მიიჩნევს, რომ ქვეყანაში კანონი არ კანონობს, ხოლო დემოკრატიული პრინციპები პოლიტიკური ცხოვრების მთავარი მახასიათებლები არ არის, ამიტომ, მისი აზრით, დეკლარაცია ფარატინა ქაღალდია. **"ამომრჩევლების მხარდაჭერას ზოგი ძალადობით იგდებს ხელში, ზოგი კი - ბითუმად ყიდულობს,"** - ამბობს გიორგი გუგავა.

# ივანიშვილი ერგნეთის ბაზრის აღდგენის პირობას დებს

პირველი გვერდიდან

პოლიტიკოსი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქართველებისა და ოსების ურთიერთობის აღდგენას სახალხო დიპლომატიითა და ერგნეთის ბაზრობის გახსნით გეგმავს. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ქართველებმა და ოსებმა ურთიერთობა აუცილებლად უნდა მოაგვარონ, ამისთვის კი საჭიროა ერგნეთის ბაზრის აღდგენა. მისი თქმით, ერგნეთის ბაზრობა იყო ადგილი, სადაც ქართველები და ოსები ერთმანეთს ეკონტაქტებოდნენ, საერთო ბიზნესში იყვნენ ჩართულები და სწორედ ამ ადგილას აღმოაჩინეს, რომ ერთმანეთს ძალიან სჭირდებოდნენ.”ქართული ოცნების" ლიდერი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების სურვილი რომ ჰქონოდა, ერგნეთის ბაზრობას არ დახურავდა.

**“ერგნეთის ბაზრობის დახურვა ჩვენი ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის შედეგია, რადგან იქ, სადაც რვა წლის განმავლობაში ქართველებისა და ოსების საერთო სავაჭრო დახლები იდგა და სავალუტო ჯიხურები მუშაობდა, ახლა რუსული სამხედრო პოსტია. ამ შეცდომის გამოსწორება მარტო ჩვენ შეგვიძლია. ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კანონის ფარგლებში, ლეგალურად აღვადგენთ ერგნეთის ბაზრობას. ყველაფერს გულდასმით გავითვლით და ყველა რისკს გავითვალისწინებთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ბაზრობის აღდგენით გამყოფი ხაზის სხვადასხვა მხარეს მცხოვრებ ადამიანებს შორის ნდობის აღდგენაც დაიწყება და ურთიერთობებიც ერთხელ და საბოლოოდ დალაგდება,"** - ამბობს ივანიშვილი. მას აღარ მიაჩნია, რომ აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო, თუმცა, მისი თქმით, ხელისუფლებამ ომის შედეგები წინასწარ ვერ გათვალა.”ქართული ოცნების” ლიდერის თქმით, საქართველოს დასავლური ორიენტაცია, ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაცია მისი პოლიტიკური გუნდის სტრატეგიული არჩევანია, მაგრამ, საქართველო მეზობლებს ვერ აირჩევს. სწორედ ამიტომ, იგი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზე საუბრობს. ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის დაბრუნებას გეგმავს.

ივანიშვილის თქმით, ომის უმძიმესი შედეგია ის, რომ საქართველოს ათასობით მოქალაქე თავისივე სამშობლოში დევნილად იქცა.

**“სიტყვას ვაძლევ ჩვენს დევნილებს, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველას დაუკანონდება ის ფართები, რომლებშიც ახლა ცხოვრობენ, რათა საშუალება ჰქონდეთ, დაგეგმონ საკუთარი ცხოვრება და მომავალი, ვიდრე დროებით დაკარგულ სახლ-კარს დაუბრუნდებიან. ჩვენ ყველა პირობას შევუქმნით მათ, რათა ღირსეულად შეძლონ ცხოვრება, აღარ იყვნენ ხელისუფლების შემწეობასა და მოწყალებაზე დამოკიდებული,"** - ამბობს ივანიშვილი.

“ქართული ოცნების" ლიდერი მთავრობის ახალ სამოქმედო გეგმაზეც საუბრობს. იგი კოლეგების მოსაზრებას იზიარებს და მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ”ოცნების" პროექტი გადაწერა. ივანიშვილის თქმით, მმართველი გუნდის პროგრამა სხვა არაფერია, თუ არა პლაგიატის მცდელობა. თუმცა, შენიშნავს, რომ მის პარტიასა და მთავრობას შორის ერთი განსხვავებაა -”ქართული ოცნება" დაპირებებს ტყუილად არ იძლევა. ივანიშვილის თქმით, მათ ყველაფერი გააზრებული აქვთ, პრემიერ ვანო მერაბიშვილის ციფრები კი მხოლოდ ამომრჩეველთა გულის მოსაგებადაა გათვლილი. ამასთან, ივანიშვილი სამთავრობო ცვლილებებზე საუბრობს. ივანიშვილის აზრით, შს მინისტრად ბაჩო ახალაიას დანიშვნა საზოგადოებისა და პოლიციელების დაშინების მცდელობაა. ივანიშვილის თქმით, პოლიციას ხალხის დასასჯელად ვეღარავინ გამოიყენებს. მათი უმრავლესობა, პოლიტიკოსის აზრით, საკუთარი საქმის ერთგულია და პატიოსანი მოქალაქეა. როგორც ივანიშვილი დასძენს, სწორედ პოლიციელების მიმართ მისმა დადებითმა შეფასებებმა შეაშფოთა ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მინისტრად”სისასტიკით” ცნობილი ბაჩო ახალაია დანიშნა.

**"პრეზიდენტი ასე ცდილობს, ხალხი და პოლიციელები დააშინოს. მას არჩევნებისთვის სჭირდება ზონდერები, რომლებსაც ახალაია მართავს. მინდა, მივმართო პოლიციელებს - ნუ შეგეშინდებათ, ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდება. თუ თქვენ არ შეასრულებთ უკანონო ბრძანებებს, სამართლიანობა თქვენკენ იქნება და თქვენ ვერც ერთი თანამდებობის პირი ვერ მოგერევათ. იდექით ხალხის სამსახურში და დაიცავით იგი,"** - ამბობს ბიძინა ივანიშვილი.”ქართული ოცნების" ლიდერი აქციაზე სიტყვით გამოსვლისას თავისი ქონების დაყადაღებასაც შეეხო და აღნიშნა, რომ”ქართუ ჯგუფის” დაყადაღებით და ქონების გაყიდვით სააკაშვილმა მთელს საერთაშორისო საზოგადოებას დაანახა, როგორ ებრძვის პოლიტიკურ ოპონენტს. მისივე თქმით, ამ ბანკის ჩამორთმევა ვერაფერს დააკლებს ბიზნესმენის კაპიტალს.”ბანკი ქართუ” ინვესტიციაა, რომელიც ივანიშვილს, როგორც თავად ამბობს, პირადი მოგებისთვის არ გაუხსნია.

**“ჩემი კაპიტალი, რომელიც დღითიდღე სულ უფრო იზრდება, თქვენი ნდობაა, რომელიც მე ჩემმა ხალხმა გამომიცხადა. სწორედ ამ ბრძოლაში აუცილებლად დამარცხდება სააკაშვილი,"** - ამბობს ივანიშვილი.

აქციის დასასრულს ბიძინა ივანიშვილმა კოალიცია”ქართული ოცნების” შიდა ქართლის მაჟორიტარები დაასახელა.

“ოცნების” სახელით გორში კენჭს იყრის სოსო ვახტანგაშვილი, ხაშურში - ვალერი გელაშვილი, კასპში - დავით ონოფრიშვილი, ხოლო ქარელში - ლერი ხაბელოვი.

“ქართული ოცნების" მომდევნო წინასაარჩევნო აქციის გამართვის

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# რომნი ბრალდებას უარყოფს და ობამას ბოდიშის მოხდას სთხოვს

აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა "რესპუბლიკური პარტიიდან" მიტ რომნიმ თავისი სატელევიზიო ინტერვიუების სერიაში უარყო პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და მისი გუნდის ბრალდება იმის შესახებ, რომ იგი რამდენიმე წელიწადის განმავლობაში ფარულად მართავდა კომპანია "Bain Capital"-ს. "მე არ ვიყავი დაკავებული ამ კომპანიის მართვით 1999 წლის შემდეგ," - განაცხადა რომნიმ. მან პრეზიდენტ ობამას მოსთხოვა ბოდიშის მოხდა ცრუ ბრალდებისთვის. ობამამ ორიოდე დღის წინ განაცხადა, რომ რომნის საქმიანობა "Bain Capital"-ში სერიოზულად უნდა იყოს შესწავლილი.

ეს კომპანია რომნიმ 1994 წელს დააარსა და მისი ერთადერთი მფლობელი და ხელმძღვანელი იყო. პრეზიდენტობის "რესპუბლიკელი" კანდიდატი აცხადებს, რომ მან კომპანიის აქტიური მართვა 1999 წლის დასაწყისში შეწყვიტა, როდესაც სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური თამაშების მომზადება იკისრა. თუმცა კომპანია გარკვეული ხნის განმავლობში რჩებოდა მის სახელზე, სანამ მთლიანად არ გაფორმდა მისი გადაცემა ახალი მფლობელებისათვის. გაურკვევლობა სწორედ ამან გამოიწვია. 1999 წელს აშშ-ს ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომისიაში გადაცემული დოკუმენტებში რომნი მოხსენიებულია ერთადერთ აქციონერად, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ, მთავარ აღმასრულებელ დირექტორად და პრეზიდენტად". თუმცა ზოგიერთი ჟურნალისტური გამოკვლევით არ დასტურდება, რომ მიტ რომნი 1999 წლის შემდეგაც აქტიურად ერეოდა კომპანიის ხელმძღვანელობაში. პრინციპული მნიშვნელობა აქვს პერიოდს 1999 წლიდან 2001 წლამდე. ამ პერიოდში "Bain Capital"-ი მართავდა გაკოტრებულ ამერიკულ კომპანიებს, მათ ხურავდა და უცხოელებს გადასცემდა, ანუ სამუშაო ადგილები უცხოეთში გადაჰქონდა. რომნის, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს, არა აქვს მითითებული თავის დოკუმენტებში, რომ ამ პერიოდში მართავდა "Bain Capital"-ს. სწორედ ამ საკითხზე უნდათ პასუხის მიღება "დემოკრატებს", რადგან თუ რომნის ტყუილში გამოიჭერენ, ამ უკანასკნელს პასუხისგება მოუწევს (მათ შორის შეიძლება, სისხლის სამართლის ბრალდებაც წაუყენონ).

რომნი და მისი შტაბი კი ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ. "რესპუბლკელების" კანდიდატმა განაცხადა, რომ "Bain Capital"-ში მისი მუშაობის უარყოფითად წარმოჩენა "ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისთვის ულირსი საქციელია". რომნის სიტყვებით, "მან [ობამამ], უბრალოდ, უნდა განაცხადოს, რომ წუხს მისი გუნდის მხრიდან თავდასხმების გამო".

***მოამზადა ივა შილაკაძემ***

*ბიზნესი*

# ევროზონის ქვეყნების რეიტინგის ამერიკელ შემმოწმებლებს აღარ ენდობიან

თინა შავაძე

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ Moody's-მა ევროკავშირში ეკონომიკის სიდიდით მესამე ქვეყნის, იტალიის სუვერენული ობლიგაციების რეიტინგი ორი საფეხურით A3-დან Baa2-მდე შეამცირა და პროგნოზი "ნეგატიურით" შეუცვალა.

Moody's-ის პროგნოზით, იტალიამ უახლოეს მომავალში, შესაძლოა, უფრო მძიმე ეკონომიკური სირთულეები განიცადოს, ვიდრე ახლა აქვს. ამის გამო შეცვალა სააგენტომ ამ ქვეყნის რეტინგი.

"იტალიამ შესაძლოა, მალე განიცადოს კონსოლიდირებული ვალის მკვეთრი ზრდა და დაკარგოს ბაზარზე ხელმისაწვდომობა. ამის ნიშნები ხუთი თვის წინ იყო, როდესაც ქვეყანას რეიტინგი შევუმცირეთ," - ნათქვამია სააგენტოს განცხადებაში.

გარდა ამისა, სააგენტო აღნიშნავს, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში იტალიის ეკონომიკის მდგომარეობა, მშპ-ს მაჩვენებლის შემცირებისა და უმუშევრობის რაოდენობის ზრდის ფონზე, გაუარესდება.

ახლა იტალია სარეიტინგო მაჩვენებლით ყაზახეთის, ბულგარეთისა და ბრაზილიის დონეს გაუტოლდა, - აღნიშნავს სააგენტო Bloomberg-ი.

კრიზისში მყოფი ევროზონის რამდენიმე ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი ბოლო სამი წლის განმავლობაში იმდენად შემცირდა, რომ თითქმის გადახდისუუნარო დონეს გაუტოლდა.

თუმცა ევროპელების, განსაკუთრებით კი გერმანელების შეშფოთება მხოლოდ მაშინ გამომჟღავნდა, როცა ამერიკული "სამეული" (Fitch, Moody's, Standard & Poor's) მათთვის ყველაზე წმიდათაწმინდა ბანკების - ბრიტანული HSBC-ს, Barclays-ს და Royal Bank of Scotland-ის, ფრანგული BNP Paribas-ის, შვეიცარული Credit Suisse-სა და გერმანულ Deutche Bank-ის რეპუტაციას შეეხო და გასულ თვეში რეიტინგები შეუმცირა.

გასულ კვირას ფინანსური ბაზრის ზედამხედველობის ევროპულმა სააგენტომ (ESMA) დაიწყო იმ სამი უმსხვილესი ამერიკული სარეიტინგო სააგენტოს (Fitch, Moody's, Standard & Poor's) მეთოდების შესწავლა, რომლებსაც ისინი ფინანსური ორგანიზაციების რეიტინგების შედგენისას იყენებენ. ამის შესახებ გამოცემა Financial Times-ს ESMA-ს თავმჯდომარემ სტივენ მაიორმა განუცხადა.

როგორც გერმანული მედია წერს, ამის შემდეგ ESMA-მ გადაწყვიტა, გამოიძიოს სიტუაცია და შეისწავლოს "სამეულის" მეთოდები, თუ რამდენად გამჭვირვალე და ობიექტური იყო, როცა ევროპის უმსხვილეს ბანკებს რეიტინგი შეუმცირა.

სტივენ მაიორი აღნიშნავს, რომ ექსპერტებსაც ეჭვი ეპარებათ Fitch-ის, Moody's-ისა და S&P-ს გადაწყვეტილებებში, რადგან ისინი საკმარის ანალიტიკურ მასალებს არ ფლობენ იმისთვის, რომ ობიექტური დასკვნა გამოიტანონ.

Financial Times-ი წერს, რომ 2012 წლამდე სარეიტინგო სააგენტოების საქმიანობა ევროპაში არ რეგულირდებოდა, თუმცა მოგვიანებით ევროკავშირმა მათი ESMA-ში დარეგისტრირება მოითხოვა.

გლობალური და ევროპული ფინანსური ინსტიტუტების რეიტინგების ფართომასშტაბიანი გადასინჯვა Moody's-მა 2012 წლის თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყო. საერთო ჯამში, 100-მდე ბანკის რეიტინგი გადაიხედა.

მაისში Moody's-მა 26 იტალიურ და 16 ესპანურ ბანკს რეიტინგები რამდენიმე საფეხურით ჩამოუქვეითა.

მსგავსი გადაწყვეტილება მიიღო ივნისში, მთელი რიგი საკრედიტო ორგანიზაციების მიმართ გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთსა და ბენელუქსის ქვეყნებში.

ივნისში Moody's-მა რეიტინგები შეუმცირა ესპანეთის 28 და ნიდერლანდების 5 ბანკს, ასევე რუსულ «როსბანკს."

ამავე პერიოდში Moody's -მა მსოფლიოს 15 ძირითად ბანკს საკრედიტო რეიტინგი შეუმცირა. 22 ივნისს რეიტინგების დაცემა ამერიკულ Bank of America-ს, Citibank-ს, Goldman Sachs-ს და JPMorgan-ს, ბრიტანულ HSBC-ს, Barclays-ს და Royal Bank of Scotland-ს, ფრანგულ BNP Paribas-ს, შვეიცარულ Credit Suisse-სა და გერმანულ Deutche Bank-საც შეეხო.

Moody's-ის ანალიტიკოსებმა ამ გადაწყვეტილების მიზეზად ევროპის ვალის კრიზისით გამოწვეული რისკები დაასახელეს.

იმავე გზით წავიდა Standard & Poor's-ი, რომელმაც, ანალიზის მეთოდიკის შეცვლის შემდეგ, 2011 წლის ნოემბერში მსოფლიოს 37 უმსხვილესი ბანკიდან რეიტინგები 15-ს შეუმცირა.

როგორც ირკვევა, ESMA-მ ამერიკული სააგენტოების შემოწმებას წლის ბოლომდე დაასრულებს. სავარაუდოდ, Fitch-ის, Moody's-ისა და და S&P-ის საქმიანობაზე კონტროლი გამკაცრდება.

SCP South Caucasus Pipeline

bp

**სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის გაფართოების პროექტის**
**ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის ფარგლებში**
**გაიმართება საჯარო შეხვედრები**

**თბილისში** – 2012 წლის 19 ივლისს დღის 11 საათზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში.
(ფურცელაძის ქ. #3)

**რუსთავში** – 2012 წლის 20 ივლისს დღის 11 საათზე, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში (კოსტავას ქ. #22)

**წალკაში** - 2012 წლის 23 ივლისს დღის 12 საათზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (გამგეობის) სააქტო დარბაზში.

**ახალციხეში** - 2012 წლის 25 ივლისს დღის 11 საათზე, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის (გამგეობის) სხდომათა დარბაზში.

კომპანია BP მუშაობს სამხრეთ კავკასიური გაზსადენის (SCP) სისტემის გაფართოების პროექტზე. აღნიშნული პროექტი (SCPX) ითვალისწინებს არსებული მილსადენის მოცულობის გაზრდას, რათა მოხდეს დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირება კასპიის ზღვიდან თურქეთის და ევროპის ბაზრებზე. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები ჩატარდება რუსთავის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში. ძირითადი სამუშაოები დაიწყება 2013 წელს და დასრულდება 2016 წლის ბოლოს.

კომპანიამ BP, სამხრეთ კავკასიური მილსადენის მფლობელი საერთაშორისო კომპანია SCP -ის სახელით, განახორციელა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (ბსგზშ), რათა გამოევლინა და შეეფასებინა შესაძლო ზემოქმედება და დაედგინა ის ღონისძიებები, რომლებიც შეამცირებდა უარყოფით ზემოქმედებას და გაზრდიდა დადებით შესაძლებლობებს.

**ამჟამად, BP-ს საჯარო განხილვისათვის გამოტანილი აქვს ბსგზშ ანგარიშის პროექტი და სთხოვს დაინტერესებულ პირებს გაგვიზიარონ თავიანთი მოსაზრებები.** საჯარო განხილვის 60 დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ (ივლისის ბოლოს), ყველა შემოსული შენიშვნა განიხილება და საჭიროებისამებრ გათვალისწინებული იქნება ბსგზშ ანგარიშში, რის შემდეგ ბსგზშ ანგარიში დასამტკიცებლად წარედგინდება საქართველოს მთავრობას.

*რა დოკუმენტებია გამოტანილი საჯარო განხილვისა და შენიშვნებისათვის?*

- ბსგზშ ანგარიშის პროექტი
- ბსგზშ ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე (ქართულ და რუსულ ენებზე)

*სად შეიძლება გავეცნოთ ამ დოკუმენტებს?*

ბსგზშ ანგარიშის პროექტი და არატექნიკური რეზიუმე საჯარო განხილვისათვის 2012 წლის 29 მაისიდან განთავსებულია შემდეგ ადგილებში:

| თბილისში | რეგიონებში - ადმინისტრაციულ შენობებში | ვებ-გვერდი |
|---|---|---|
| BP-ის ოფისი | რუსთავი | www.bp.com/caspian |
| საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია | გარდაბანი | www.bpgeorgia.ge |
| გარემოს დაცვის სამინისტრო | მარნეული | |
| საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა | თეთრიწყარო | |
| ორჰუსის ცენტრი საქართველოში | წალკა | |
| კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) | ახალციხე | |
| კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (REC Caucasus) | რუსთავის მთავარი ბიბლიოთეკა | |

არატექნიკური რეზიუმეები ასევე საჯაროდ ხელმისაწვდომია იმ სოფლების ტერიტორიული ერთეულების ადმინისტრაციულ შენობებში, რომლებიც მდებარეობენ მილსადენიდან 2 კმ-ის, ხოლო სამშებლო ობიექტებიდან და ბანაკებიდან 5 კმ-ის რადიუსში.

*როგორ შეუძლია მოსახლეობას გამოთქვას შენიშვნები ბსგზშ ანგარიშთან დაკავშირებით?*

*საჯარო შეხვედრები*

საჯარო შეხვედრებზე რომლებიც გაიმართება თბილისში, რუსთავში, წალკასა და ახალციხეში. შეხვედრების ზუსტი ადგილი და დრო მითითებულია ზემოთ.

*ანკეტა შენიშვნებისათვის*

- თქვენი შენიშვნები შეგიძლიათ ჩაწეროთ ანკეტაში და გამოგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

კომუნიკაციისა და საგარეო ურთიერთობების განყოფილება,
BP Exploration (Caspian Sea) Ltd
თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა # 24, 0160 (ყოფილი საბურთალოს ქუჩა # 38, 0194)

- გადასცეთ ანკეტა საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებს, რომლებიც თქვენს რაიონებში მუშაობენ.

*საჯარო განხილვის სატელეფონო ხაზი და ელექტრონული ფოსტა*

შენიშვნები შეგიძლიათ დატოვოთ თბილისის BP–ს ოფისში სატელეფონო ნომერზე 259 34 00 ან გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე scpxesia@bp.com

# უხვი ნალექით გამოწვეული პრობლემები

პირველი გვერდიდან

იანაგავას მოსახლეობა, დაახლოებით, 70 ათასს შეადგენს. მათ უსაფრთხო ადგილზე მდებარე სკოლის შენობებსა და სხვა, დროებით გამოყოფილ საევაკუაციო ცენტრებში ათავსებენ. ზუსტი მონაცემები უცნობია. სავარაუდოდ, სტიქიას 25 ადამიანი შეეწირა, ათობით პირი კი უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევა. საძიებო სამუშაოებზე არმიისა და პოლიციის წარმომადგენლები მუშაობენ. იაპონური მედიასაშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპულთა ასაკი 70-დან 80 წლამდე მერყეობს. მათ დატბორილი და დამეწყრილი სახლებიდან დროულად გამოსვლა ვერ მოახერხეს.

მეტეოროლოგების ცნობებით, ამჯერად ქარიშხალს უხვი ნალექი ამომავალი მზის ქვეყნის ისტორიული დედაქალაქის - კიოტოს მიმართულებით გადააქვს, კუნძულ ჰონსიუზე.

კიუსიუზე კი განადგურებული, დატბორილი ან სერიოზულად დაზიანებული საცხოვრებელი სახლები და შენობა-ნაგებობები დარჩა. წყალმა წაიღო ავტომობილები, დააზიანა სახმელეთო და სარკინიგზო კომუნიკაციები. იაპონიის მეტეოროლოგიურმა სამსახურმა კიუსიუს მოსახლეობა მოსალოდნელი მეწყერის შესახებაც გააფრთხილა.

ქალაქ ასოში 72 საათის განმავლობაში 75 სანტიმეტრზე მეტი ნალექი მოვიდა. აღნიშნული ქალაქი კუმამოტოს პრეფექტურაში მდებარეობს, რომელიც ინტენსიური წვიმით დაზარალებულ რეგიონებს შორისაა. კუმამოტოს, საგასა და ფუკუოკას გარდა, ძლიერ დაზარალდა ასევე ოიტას პრეფექტურაც. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა მთიან რაიონებში, სადაც დარჩენილი მოსახლეობისთვის პირველადი საჭიროების ნივთებისა და საკვების მიწოდება ჯარისკაცებს ავიაციით უწევთ.

სინოპტიკოსების პროგნოზი ამომავალი მზის ქვეყნის მცხოვრებთათვის არცთუ დამაიმედებელია. სპეციალისტთა ვარაუდით, წვიმიანი ამინდი კიდევ რამდენიმე დღე შენარჩუნდება.

წყალდიდობას და მეწყერს ებრძვიან ჩიენთშიც. ქვეყნის ცენტრალური, სამხრეთ-დასავლეთი და აღმოსავლეთი რაიონები ასევე დატბორილია ძლიერი წვიმისა და ადიდებული მდინარეების მიზეზით. გავრცელებული ცნობებით, დაღუპულია 21 ადამიანი, მილიონობით მოსახლე უკვე ევაკუირებულია. მოვარდნილმა ღვარცოფმა სახმელეთო გზები და სარკინიგზო ხაზები დააზიანა. ურბანული ტერიტორიების გარდა, დაიტბორა ასევე სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

იაპონიის მსგავსად სტიქიამ პრობლემები რუსეთში, კრასნოდარის მხარესაც შეუქმნა, სადაც ყველაზე მეტად ქალაქი კრიმსი დაზარალდა. წყალდიდობით გამოწვეულ მღელვარებას კი თავად დედაქალაქის ცენტრალური რაიონების დატბორვაც დაემატა. უხვმა ნალექმა ორი დღის წინ პრობლემები მოსკოვშიც გამოიწვია. ძლიერი წვიმის დროს რამდენიმე მოედანი და მიმდებარე ქუჩები, სულ რაღაც, 10 წუთში დაიტბორა. სტიქიას მსხვერპლი მოსკოვშიც მოჰყვა. მართალია, არა დატბორვის მიზეზით, არამედ მეხის გამო. მეხის დაცემას ორი ადამიანი შეეწირა, ორმა მცირეწლოვანმა კი სხეულის დაზიანება მიიღო, რის შემდეგაც ისინი სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში. მოსკოვის მუნიციპალიტეტის განცხადებით, პრობლემებთან გამკლავება სპეციალისტებმა მალევე შეძლეს, მაგრამ პარალელურად მოწმდება სანიაღვრე სისტემების მუშაობის გამართულობა.

# კლინტონმა ისლამისტ პრეზიდენტს დაუჭირა მხარი



ეგვიპტეში ვიზიტის დროს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა პირველი შეხვედრა გამართა ქვეყნის ახალარჩეულ პრეზიდენტ მუჰამედ მურსისთან. მოლაპარაკებების შემდეგ კლინტონმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი მხარს უჭერს "ეგვიპტის სრულ გადასვლას სამოქალაქო მმრთველობაზე."

ცოტა ადრე ეს შეხვედრა წარმოუდგენელი იქნებოდა, რადგან რამდენიმე წლის წინ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აშშ არასდროს ითანამშრომლებდა "მუსულმან ძმებთან".

მუჰამედ მურსიმ, რომელიც სამართლიანობისა და თავისუფლების პარტიას (პანარაბული მოძრაობა "მუსულმანი ძმების" პოლიტიკური ფრთა ეგვიპტეში) წარმოადგენს, ივნისში, ეგვიპტის ისტორიაში პირველ თავისუფალ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

მოჰამედ მურსი პრეზიდენტის თანამდებობაზე მოსვლისთანავე აღმოჩნდა "ჩათრეული" საკონსტიტუციო კრიზისში. ის ცდილობს, გააუქმოს საკონსტიტუციო სასამართლოს და შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება პარლამენტის დათხოვნის შესახებ.

ჰილარი კლინტონმა აღნიშნა, რომ მხარს უჭერს მუჰამედ მურსის და რომ ეგვიპტელებმა უნდა მიიღონ ის მთავრობა, რომელსაც მისცეს ხმა.

ახალ პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ სახელმწიფო მდივანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეგვიპტეში ჩავიდა, რათა აშშ-ს სახელით კიდევ ერთხელ გამოეხატა მხარდაჭერა ეგვიპტელი ხალხის და მისი არჩევანისთვის. "ჩვენ გვინდა, ვიყოთ კარგი პარტნიორები. ჩვენ გვინდა, მხარი დავუჭიროთ დემოკრატიას, რომელიც მიღწეულ იქნა ეგვიპტელი ხალხის სიმამაცით და მისი სურვილით, გაელო მსხვერპლი," - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა.

ბარაკ ობამას ადმინისტრაცია არ კარგავს დროს, რათა ეგვიპტის ახალ ლიდერთან ურთიერთობა გააუმჯობესოს. აშშ შეეგუა იმ აზრს, რომ ეგვიპტის ხელისუფლებაში ისლამისტები მოვიდნენ და ცდილობს, ამ სიტუაციიდან მაქსიმალურად კარგი შედეგი მიიღოს.

"მუსულმანი ძმები" მუდმივად აკეთებენ განცხადებას იმის შესახებ, რომ მათ არ სურთ ეგვიპტის საერთაშორისო იზოლაცია, რადგან მათი ეკონომიკა საკმაოდაა დამოკიდებული ტურიზმსა და საგარეო ვაჭრობაზე.

გასულ კვირას მუჰამედ მურსი შეეცადა, გაეუქმებინა პარლამენტის დათხოვნაზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც მურსის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვებამდე მიიღეს (ეს კარგად არის ცნობილი "24 საათის მკითხველისთვის"). მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლებელი იყო, ახალი პრეზიდენტი ცდილობს, შეამციროს დაძაბულობა. მან განაცხადა, რომ შეეცდება, "თავიდან აიცილოს დაპირისპირება".

მოგვიანებით ჰილარი კლინტონი შეხვდა მურსის ოპონენტს - სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს, ფელდმარშალ მუჰამედ ჰუსეინ ტანტაუის. ჯერ კიდევ ამ ბოლო შეხვედრამდე აშშ-ს სახელმწიფო მდივანს ჟურნალისტებმა დაუსვეს კითხვა, თუ რის თქმას აპირებდა ის ტანტაუისთვის. როგორც ჰილარი კლინტონმა პასუხად აღნიშნა, იგი ფელდმარშალს გადასცემს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას იმის შესახებ, რომ "სასურველია, ეგვიპტის შეიარაღებული ძალები დაუბრუნდნენ წმინდა სამხედრო ფუნქციების შესრულებას".

ეგვიპტიდან ჰილარი კლინტონი ისრაელში გაემგზავრება.

***მოამზადა***
***სალომე ჯანიაშვილმა***

იაგო გორგოძე
წოლჭიმი



BP – საქართველოს მხარდასაჭერად

ჩვენ გვეამაყება, რომ ხელს ვუწყობთ საქართველოს სპორტსმენების წარმატებას 2012 წლის ლონდონის პარაოლიმპიურ თამაშებში.
BP. ჩვენი წვლილი ქვეყნის წარმატებაში

bp
ოფიციალური პარტნიორი

## 0%-დან

# შეიძინეთ
# ახალი ან მეორადი
# ავტომობილი




ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC
ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

290 90 90
* 90 90
BR.GE

# ქართული სელის ძაფი - კაცობრიობის ისტორიის 10 გამოგონებას შორის



პირველი გვერდიდან

პირველი სამხილები - ნაქსოვი, დაჭრილი და შეღებილი სელის ბოჭკოები აღმოჩენილია საქართველოში ძუძუანას გამოქვაბულში," - განაცხადა მკვლევარმა.

ძუძუანას მღვიმე ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მღვიმევის ტერიტორიაზე მდებარეობს. ძეგლი აღმოაჩინა 1966 წელს, სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის ქვის ხანის შემსწავლელმა ექსპედიციამ დავით თუშაბრამიშვილის ხელმძღვანელობით. დღემდე აქ მუშაობენ მეცნიერები თენგიზ მეშველიანის, ოფერ-ბარ იოზეფისა (ანთროპოლოგიის დეპარტამენტი, ფიბოდის მუზეუმი, ჰარვარდის უნივერსიტეტი, კემბრიჯი, აშშ) და ანნა ბელფერ-კოენის (არქეოლოგიის ინსტიტუტი, ჰიბროუს უნივერსიტეტი, ისრაელი) ხელმძღვანელობით.

კვლევამ დაადასტურა, რომ ძუძუანას მღვიმეში ნაპოვნია ადრეული ზედაპალეოლითური (34000წლის) გრეხილი ველური სელის ძაფის ბოჭკოები. დღემდე მიიჩნეოდა, რომ ყველაზე ძველი ძაფი, ოლონდ ჭინჭრისგან დამზადებული, აღმოჩენილი იყო დოლნივესტონიცაში, ჩეხეთში (ძვ.წ. 29000წ.). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძუძუანას მღვიმის მონაპოვარი პრეისტორიული ხანის უძველესი სელის ძაფია.

ქრის ჰირსთის მიერ დასახელებული 10 გამოგონებიდან ყველაზე ძველი ე.წ. აშელური ნაჯახებია. წამახვილებულ ქვის ნაწილებს ან გრძელი ხის ჯოხის ბოლოში დამაგრებულ ძვლებს ადამიანები სანადიროდ ან საბრძოლველად იყენებდნენ. მათგან უახლესი 60 000 წლის წინანდელია, რომელიც სამხრეთ აფრიკაში, სიბუდუს გამოქვაბულშია აღმოჩენილი. მაგრამ სანამ ადამიანი საბრძოლო, სასროლი იარაღების კეთებას დაიწყებდა, მას ჯერ ქვისგან საჭრელი იარაღი უნდა გაეკთებინა. კოკისელეის კომპლექსის მიდამოებში (თანამედროვე კენია), დაახლოებით, 1.7 მილიონი წლის წინ ნაპოვნი აშელური ხელის ნაჯახები, შესაძლოა, პირველი იარაღი იყო, რომელიც ადამიანმა გააკეთა. სამკუთხა ფოთლის ფორმის ქვა, სავარაუდოდ, ცხოველთა საჭრელად გამოიყენებოდა.

მომდევნო გამოგონებად არქეოლოგიის მკვლევარი ცეცხლის კონტროლს ასახელებს. უნარი იმისა, რომ დაენთოთ და შეენარჩუნებინათ ცეცხლი, ადამიანებს საშუალებას აძლევდა, გამთბარიყვნენ, ღამით ცხოველები მოეგერიებინათ, საჭმელი მოემზადებინათ, დაბოლოს, კერამიკული ჭურჭელი დაემზადებინათ. მეცნიერთა აზრი გაყოფილია: როგორ ეკონტროლებინათ ცეცხლი, ეს ჩვენმა ძველმა წინაპრებმა ქვედა პალეოლითის ხანაში გაიგეს. ცეცხლის გაჩაღება-შექმნა კი მოგვიანებით, შუა პალეოლითის დასაწყისში, 300 000 წლის წინ ისწავლეს. თუ ვინ იყო ცეცხლის გამჩენი უპირველესი ადამიანი, ხშირი კამათის საკითხია, მაგრამ სამხილებით, ეს უნდა მომხდარიყო 790 000 წლის წინ, იაკობის ხიდის მიდამოებში, ისრაელში, ღია ადგილას, სადაც ახლა მდინარე იორდანეს ხეობაა.

გამოგონებათა ჩამონათვალში შემდეგ ადგილზე ხელოვნება დგას. ისევე როგორც ძნელია განვსაზღვროთ, თუ რა არის ხელოვნება, არანაკლებ ძნელია, ვთქვათ, თუ როდის შეიქმნა იგი. უახლესი ფორმა იმისა, რასაც ჩვენ დღეს ხელოვნებას ვეძახით, იყო დახვრეტილი ნიჟარები, ნაპოვნი აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში, როგორიცაა სკულის გამოქვაბული დღევანდელ ისრაელში, დაახლოებით, 100 000-135 000 წლის წინანდელი არტეფაქტებით; ტაფორალტის გამოქვაბული მაროკოში, 82 000 წლის წინანდელი და ბლომბოს გამოქვაბული სამხრეთ აფრიკაში, რომელიც 75 000 წელს ითვლის. ბლომბოს ძველ ნამარხებში ნაპოვნია ზღვის ნიჟარებისგან გაკეთებული წითელი და ყვითელი შეღებილი ქოთნები, რომლებიც 100 000 წლის წინანდელია. თუმცა ჩვენ არ ვიცით, ადამიანები რას ხატავდნენ მაშინ - შესაძლებელია, საკუთარ თავსაც, მაგრამ ხელოვნებასთან კავშირში კი იყვნენ.

ამერიკელი მეცნიერისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ფეხსაცმლის გამოგონება, ვინაიდან ჰქონოდათ დამცავი საშუალება, რომელიც დაფარავდა შიშველ ფეხს მჭრელი ქვების, მკბენარა ცხოველების და მკაწრავი მცენარეებისაგან, სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო ყოველდღიური გადარჩენისთვის. უძველესი ფეხსაცმელი აღმოჩენილია ამერიკულ გამოქვაბულში და 12 000 წლით თარიღდება, მაგრამ მეცნიერებს სჯერათ, რომ ფეხსაცმლის ტარება ცვლიდა ფეხის და ფეხის თითების აგებულებას, ამის პირველი მაგალითი კი გვევლინება 40 000 წლის წინანდელ გამოქვაბულში ჩინეთში.

ასევე მნიშვნელოვანი იყო კერამიკული ჭურჭლის გამოგონება, რომელიც საშუალებას აძლევდათ, წყალი და საკვები ეტარებინათ. ეს ნიშნავდა თიხისა და საჭირო დამხმარე ინგრედიენტების მოპოვებას, როგორიცაა ქვიშა, კვარცი, ძაფი, ნიჟარის ნატეხები, რომელთა შერევით თასს ან დოქს იღებდნენ. შემდეგ ჭურჭელი თავსდებოდა ცეცხლში ან სხვა გამათბობელ წყაროში დროის გარკვეული პერიოდით, რის შემდეგაც იღებდნენ გამძლე, მყარ კონტეინერს. თიხის ჭურჭლის ყველაზე ძველი სამხილები ჩინეთიდან გვაქვს, ჰიანდერდონგიდან. ისინი აღმოჩენილი იქნა იმ ფენებში, 20 000 წლით რომ თარიღდება.

ადამიანის განვითარების მანიშნებელია მიწათმოქმედება, რაც გულისხმობდა ადამიანის კონტროლს მცენარეებსა და ცხოველებზე. ეს 11 000 წლის წინათ დაიწყო დღევანდელი სამხრეთ დასავლეთი აზიის მხარეში. ჯერ ლეღვის ხით, 500 წლის შემდეგ კი იმავე ადგილას ხორბლით და ქერით. ცხოველების მოშინაურება უფრო ადრინდელია - ძაღლებთან ადამიანის ურთიერთობა 30 000 წლის წინ დაიწყო. ფერმის პირველი შინაური ცხოველი კი ცხვარი იყო, 11 000 წლის წინ სამხრეთ დასავლეთ აზიაში, იქ სადაც მცენარეების მოშენებას ჰქონდა ადგილი. ამას მოჰყვა ღვინის - ალკოჰოლური სასმელის დამზადება. ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ადამიანები მოიხმარდნენ რაღაც სახის ფერმენტირებულ ხილს, სულ მცირე, 100 000 წლის წინ, მაგრამ უძველესი სამხილები ალკოჰოლური სასმელის შესახებ ყურძენს უკავშირდება. ფერმენტებიანი ხილი - ყურძენი, რომელიც ღვინოდ გარდაიქმნება, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოგონებაა კაცობრიობის ისტორიაში. იგი დღევანდელი ჩინეთის ტერიტორიაზე აღმოცენდა. უძველესი სამხილები მოდის ჯიაჰუდან, სადაც ბრინჯის თაფლის და ხილის მომზადება კერამიკულ ჭურჭელში 9 000 წლის წინ ხდებოდა.

მეცნიერთა მიერ ადამიანის ერთ-ერთ უდიდეს გამოგონებად ბორბალი სახელდებოდა. დღეს ქრის ჰირსტი ბორბალს იმ მოძრავ საშუალებას უკავშირებს, რომლებშიც შებმულები იქნებოდნენ მოშინაურებული ცხოველები. დიდი რაოდენობით საქონლის გადატანის საშუალება სწრაფად ავითარებს ვაჭრობას, რაც თავისთავად სხვადასხვა ხელობების გააქტიურებას უწყობს ხელს, კონკურენცია კი ხარისხს ზრდის. ბორბალს უკავშირდება ახალი ამბების გავრცელება, რამაც იდეების გაცვლასა და პროგრესს დაუდო სათავე.

ბოლოს კი, ამერიკელი მეცნიერი კაცობრიობის შემცვლელ ათ გამოგონებათა შორის ასახელებს შოკოლადს. მისი აზრით, ადამიანების ისტორია ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც ახლაა, რომ არ ჰქონოდა ასეთ მარტივი, ხელმისაწვდომი დამატკბობელი ფუფუნების საგანი, რომელიც გამოხდილი იყო კაკაოს მარცვლიდან. ეს გამოგონება წარმოიშვა ამაზონის დაბლობზე, სულ მცირე, 4000 წლის წინ და მექსიკაში, კერძოდ, პასკო დე ლა ამადაში, რომელიც დღეს ჩიაპას და ელ მანათის სახელს ატარებს.




## ძლიერმა წვიმამ შატილის მთავარი ფასადი დააზიანა

11 ივლისის ძლიერმა წვიმამ შატილის სავიზიტო ბარათი - 12 საუკუნის კოშკების ფასადი დააზიანა. ორი დღის მანძილზე იქ თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის ექსპედიცია იმყოფებოდა, რომელთაც ხევსურეთის რეგიონის სტიქიური პროცესების შესწავლა სურდათ მდინარე ანდაქისა და არღუნის ხეობებში. გეოგრაფები ხევსურეთს გასულ კვირასაც სტუმრობდნენ. გუშინ კი, შატილის დანახვაზე ისეთი შეგრძნება გაუჩნდათ, თითქოს ვიღაცამ მთავარ ფასადს ნაღმი ესროლაო.

როგორც უნივერსიტეტის პროფესორმა გიროგი დვალაშვილმა გვითხრა, ჩამოიშლა მთავარი ფასადის შიდა კედელი, რომელმაც გზაადაგზა სხვა კედლებიც დააზიანა და საშიშროებაა, მთავარი კოშკის აივანიც ჩამოიშალოს.

ადგილობრივების თქმით, კედლები ჯერ წლევანდელმა დიდთოვლობამ დააზიანა. ამავე დოდთოვლობამ სახე უცვალა მუცის ციხის ერთ-ერთ მთავარ სიმაღლეს - მისი მესამედი ჩამოქცეულია, დაზიანებულია არდოტის ისტორიული ნაგებობებიც.

გიორგი დვალაშვილი, გეოგრაფი, თსუ: «ბოლო წლებში დიდთოვლობის გამო ისტორიული შენობები დაზიანდა თრუსოს ხეობაში, ფშავში და თუშეთში. სოფლები, რომელიც 2002 წლის აღწერით, თრუსოს ხეობაში სოფლის სტატუსს ინარჩუნებდნენ და ზაფხულში ხალხი ადიოდა, დაცარიელდა, რადგან შენობათა უმეტესი ნაწილი დაინგრა. იგივე ხდება უკანაფშავსა და ჭალისოფელში. შატილის დანგრევა განსაკუთრებით საწყენია ახლა, როცა ახლოვდება ათენგენობის დღესასწაულები. და როგორც გელა დაიაური იტყოდა, «ბეჭებდაბზარულ მუცოს» თუ ბეჭებდაბზარული შატილიც მიემატება, ეს რეგიონის ცხოვრებაში დიდი ტკივილი იქნება».

იმედია, შატილიონებს ხატიც შეეწევათ და ხელისუფლებაც და იქ ასული ქართველი და უცხოელი ტურისტების წინაშე მდინარისპირა ფასადი ძველებურად მოიწონებს თავს.

*24 საათი*

# ფასბენდერის კრედო

## იგეგმება Assassin´s Creed-ისა და Deus Ex-ის ეკრანიზაცია

**ია ვეკუა**

ჰკითხეთ ნებისმიერ გეიმერს, ყველაზე მეტად რა არ უყვარს და ასიდან ასივე გიპასუხებთ, რომ ეს თამაშების მიხედვით გადაღებული ფილმებია. მართლაც ასეა - ფილმწარმოებლებმა ლიტერატურული ნაწარმოებების, კომიქსებისა და სხვა პირველწყაროთა ეკრანიზაცია ისწავლეს, მაგრამ თამაშების შემთხვევაში ვერა და ვერ მიაღწიეს სასურველ შედეგს. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით მუშაობას მაინც აგრძელებენ, მომავალი "მსხვერპლი" კი საკულტო Assassin's Creed-ია.

დაახლოებით, ერთი წლის წინ "ასასინის" შემქმნელმა ფრანგულმა კომპანიამ Ubisoft-მა საკუთარი კინოსტუდია Ubisoft Motion Pictures დააარსა. სწორედ მაშინ გახდა ცნობილი, რომ კომპანია თამაშების (და არა მხოლოდ საკუთარი თამაშების) მიხედვით ფილმების წარმოებას დაიწყებდა. UMP-ს სათავეში ლუკ ბესონის კომპანია EuropaCorp-ის ყოფილი დირექტორი ჟან-ჟულიენ ბარონე ჩაუდგა, ხოლო მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელად Walt Disney Studios Motion Pictures France-ს დისტრიბუციის დეპარტამენტის ყოფილი მმართველი ჟან დე რივიერე დანიშნეს. კომპანიის სათავეში ასეთი ადამიანების მოყვანა კი მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ «უბისოფტს" ფილმწარმოების მიმართულებით საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს.

დღემდე "უბისოფტს" კინოში მუშაობის არც ისე დიდი გამოცდილება აქვს - მისი ეგიდით ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფილმია გამოსული - "სპარსეთის პრინცი: დროის ქვიშა". სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ სხვა თამაშების კინოადაპტაციებთან შედარებით ჯერი ბრუკჰაიმერის ნამუშევარი საკმაოდ კარგი გამოვიდა (საცოდავ "მაქს პეინთან" შედარებით შედევრიც შეგვიძლია ვუწოდოთ), ამრიგად მცირე იმედი მაინც არსებობს, რომ "უბისოფტი" "ასასინ ქრიდის" პროექტსაც გულისყურით მოეკიდება და ამ მართლაც კარგ თამაშს, სულ მცირე, ხასიათს მაინც შეუნარჩუნებს. ვარაუდის დონეზე იმის თქმაც შეიძლება, რომ ფილმი სანახაობრივად საკმაოდ მდიდარი იქნება, რადგან სპეცეფექტების კანადური სტუდია Hybride Technologies, რომლის შექმნილიც არის "ცოდვების ქალაქის", "300-ისა" და "ავატარის" ეფექტები, 2008 წლის შემდეგ "უბისოფტის" მფლობელობაშია.

რაც შეეხება თავად "ასასინ ქრიდის" ეკრანიზაციას, ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ის, რომ მაიკლ ფასბენდერი, მთავარი როლის გარდა, პროექტის პროდუსერის ფუნქციასაც შეასრულებს, ხოლო როდესაც სცენარი მზად იქნება, ზუსტად გვეცოდინება, ფასბენდერის პერსონაჟს ეციო ერქმევა, ალტაირი თუ სხვა რამ.

აქვე ინფორმაციისთვის - მიმდინარე წლის ოქტობერში Assassin’s Creed III-ის გამოსვლა იგეგმება. ამჯერად დესმონდ მაილსის (სერიის პროტაგონისტი) ისტორია 1753-1783 წლებში მიმდინარეობს, სწორედ მაშინ, როდესაც ამერიკა დიდ შიდა ბრძოლებში იყო ჩაბმული. დროში გადანაცვლების შემდეგ თამაშის პროტაგონისტი ნახევრად ინდიელი კონორ კენუეი გახდება. ამრიგად იოლი წარმოსადგენია, კონკრეტულად რომელი იარაღი დაიკავებს მთავარ ადგილს მის არსენალში და რა მეთოდით მოუსწრაფებს მტრებს სიცოცხლეს...

სიმართლე ითქვას, მაიკლ ფასბენდერი ასასინის როლში ცოტა ძნელი წარმოსადგენია, სამაგიეროდ ძალიან მოუხდებოდა იმ როლს, რომელიც ჯერჯერობით ვაკანტურია - ეს გახლავთ თამაშ Deus Ex: Human Revolution-ის ეკრანიზაცია. მის შესახებ ინტენეტრესუსები ორიოდე დღის წინ ალაპარაკდა. შარშან გამოსული თამაში 2000 წლის Deus Ex-ის სერიის მესამე ნაწილია, რომელიც სამართლიანად გახდა წლის ერთ-ერთი ბესტსელერი, თუმცა თუ RPG-სა და სტელსის მოყვარული არ ხართ და არც დიდი მოთმინებით გამოირჩევით, მაშინ ჯობს, ამ თამაშს არ გაეკაროთ.

ბოლოს კი თამაშის მიხედვით გადაღებულ იმ ფილმს დაგიანონსებთ, რომელიც მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს გამოვა. ეს გახლავთ Silent Hill: Revelation 3D - ფრენჩაიზის მეორე ნაწილი. მაიკლ ბასეტის ფილმში მთავარ როლებს, შონ ბინის, რადა მიჩელისა და დებორა კარა ანგერის გარდა, მალკოლმ მაკდაუელი და კიტ ჰარინგტონიც ასრულებენ. ეს უკანასკნელი კი გაცნობას ნამდვილად არ საჭიროებს - მართალია, ჯონ სნოუმ არაფერი იცის, სამაგიეროდ ჯონ სნოუს შესახებ ყველას სმენია...

# ძალოსნები ლონდონის სწორზე გავიდნენ

პირველი გვერდიდან

მედლის მოპოვების კანდიდატია და ალბათ მეტი შანსიც აქვს გია მაჭავარიანს, რომელმაც შარშან, ყაზანის ევროპის ჩემპიონატზე, ატაცსა და აკვრაში მცირე ვერცხლის მედლები მოიპოვა და ორჭიდის ჯამში ვიცე-ჩემპიონი გახდა. ასევე ვერცხლის მედლით დაასრულა პარიზის მსოფლიო ჩემპიონატი და 105 კგ წონით კატეგორიაში, ორჭიდის გარდა, ატაცში მცირე ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა. მაჭავარიანს წლეულს ევროპის ჩემპიონატზეც შეეძლო მედლისთვის ბრძოლა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვანო გრიქუროვმა მას შინ დარჩენა და ინდივიდუალური ვარჯიში ურჩია, რომ ოლიმპიური თამაშების წინ ზედმეტად არ დატვირთულიყო. დღეს საქართველოს ძალოსანთა ნაკრები დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე ემზადება ვანო გრიქუროვის მეთვალყურეობით. ლონდონურ პერსპექტივებთან დაკავშირებით სწორედ მას მივმართეთ რამდენიმე კითხვით.

**- ოლიმპიურ თამაშებამდე დღეები რჩება. რამდენად კარგად მიდის მოსამზადებელი წვრთნა?**

- თითქმის მზად ვართ სტარტისთვის. მოსამზადებელი პერიოდი ისე მიდის, როგორც დავგეგმეთ, თუმცა, მწვრთნელები, როგორც წესი, ტრავმებს არ გეგმავენ. იყო მცირე ტრავმები, რამაც ცოტათი შეცვალა ჩვენი გრაფიკი, მაგრამ ახლა გზის სწორზე გავედით. ბიჭებთან ინდივიდუალურად ვმუშაობ. ყველას თავისებურად ვტვირთავ. არა აქვს მნიშვნელობა, ახლა როგორ ფორმაში არიან. მთავარია, რომ სპორტსმენი ფიცარნაგზე ფორმის პიკში გავიდეს.




**- წლეულს ევროპის ჩემპიონატზე არ უასპარეზია გია მჭავარიანს. აქცენტი მის ინდივიდუალურ მომზადებაზე გაკეთდა. როგორ ფორმაშია?**

- მწვრთნელებმა გადავწყვიტეთ, რომ არ დაგვეტვირთვა. გიას ისედაც განაღდებული ჰქონდა ოლიმპიური ლიცენზია და არ გავრისკეთ. ტრავმისგან დაზღვეული არავინაა.

**- მოსამზადებელ ეტაპზე ალბათ უკვე გამოიკვეთა, ნაკრების წევრთაგან რას უნდა ველოდოთ ლონდონში**...

- თითქმის ყველა მაქსიმალურ ფორმაშია. 20 ივლისს გვექნება საკონტროლო ვარჯიში, განვსაზღვრავთ ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის საწყის წონებს.

მაჭავარიანი და თურმანიძე მზად არიან, გააუმჯობესონ პირადი და საქართველოს რეკორდები. მათგან განსხვავებით, რაულ ცირეკიძე ჯერ ვერ გააუმჯობესებს საქართველოს და, შესაბამისად, გიორგი ასანიძის რეკორდს, თუმცა, მასთან ახლოს მივა.

...ზოგადად, ძალიანაც რომ მინდოდეს, პროგნოზს ვერ გავაკეთებ. თითოეულ წონაში რვა-ათი ძალოსანია ისეთი, რომლებსაც მედლებისთვის ბრძოლა შეუძლიათ. თანაბარძალოვანი სპორტსმენები არიან. თითქმის ერთნაირი შედეგები აქვთ. ასე რომ, ნებისმიერი მათგანი შეგვიძლია განვიხილოთ მედლის კანდიდატად.

ჩვენს შემთხვევაში ცირეკიძისა და თურმანიძის ექვსეულში შესვლა დამაკმაყოფილებელი იქნებოდა, მაგრამ გამორიცხულიც არაფერია. შესაძლოა, იქ, ლონდონში, უკეთესი სურათიც მივლოთ. ან პირიქით.

თუ მედალზე ფიქრი გვინდა, აუცილებელია, რომ შტანგასთან ექვსივე მისვლა გამოვიყენოთ. მთავარი იქნება აკვრაში ბოლო მოძრაობა, რომელიც გადაწყვეტს მედლის ბედს.

# დიდი კუერტენი

ალექსანდრე ასათიანი

გუსტავო კუერტენი კარგი მოთამაშე იყო. ძალიან კარგი. ტომას მუსტერმა ერთხელ მოიგო როლან გარო (1995) და იმ სეზონში გრუნტიდან ყველაფერი წამოიღო. ავსტრიელი შეშის მჭრელი იმ სეზონით დაიმახსოვრეს, სერიოზულ ხალხში სერიოზულად იხსენებენ და მუსტერი ნელი საფარის ტერმინატორი იყო. კუერტენმა როლან გარო სამჯერ (1997, 2000, 2001) მოიგო. ბრაზილიელი სამბაზე წაუქანავებდა მოქნილ უკანალს, გაერთობოდა ბიჭებთან ერთად და ჯეკპოტს ხსნიდა. კუერტენმა საყვარელ, ბუნჩულა, ბრაზილიურ და ცოტა ლოთურ კარიერაში სერიოზული ხალხი დაყარა. მისტერ ღიმილმა სერიოზულ ტურნირებზე დაამუღამა ყველაფრის ბოლომდე მიყვანა. გუსტავო კუერტენი ნიუპორტში, ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს. მაგარი დღე იყო.

კუერტენი ბრაზილიის სამხრეთში, ფლორიანოპოლისში (1976, 10 სექტემბერი) დაიბადა. ჩოგბურთზე ექვსი წლისა შეიყვანეს. გუსტავო იღლებოდა, ისვენებდა, ისევ იღლებოდა და ისევ ვარჯიშზე გარბოდა. კუერტენებს ბევრ რამეში არ უმართლებდათ. გუსტავომ ოჯახს სითბო დაუბრუნა. ოჯახი ამას, შვილის წარმატებას და სითბოს იმსახურებდა. 27 წლის წინ კურიტიბაში, საჩოგბურთო თამაშის დროს, კოშკურის მსაჯს გული გაუჩერდა. მსაჯი გუსტავოს მამიკო იყო და კუერტენების ოჯახი მკაცრი და სამართლიანი მარჩენალის გარეშე დარჩა. კიდევ ერთი ტრაგედია ხუთი წლის მივიდა გასაცნობად. წავიდა გუსტავოს პატარა ძმა. საბოლოოდ წავიდა. უფროსი ძმა, რაფაელი, დღეს სენიორ კუერტენის მენეჯერია. ადრე რაფაელმა ოჯახში ფულის შეტანა ნებისმიერი - ლეგალური და არალეგალური გზით გადაწყვიტა და ორჯერ უსიამოვნო სიტუაციაში მოხვდა. პრობლემები რაფაელის მეგობრებმა მოაგვარეს.




*გუსტავო კუერტენი დიდების დარბაზში შევიდა*

გუსტავომ როლან გაროს სამივე პატარა, სასუვენირო პრიზი პატარა ძმას დაუტოვა. როდესაც ძმა წავიდა და კუერტენი ტკივილის, ემოციის გარეშე დარჩა, პრიზები მაინც იქ დარჩა. გუსტავოს პირველი მწვრთნელი იყო კარლოს ალვეში. მოგვიანებით 14 წლის კუერტენი გაიცნობს ჭკვიან და ცოტა ხულიგან სპეციალისტს, ლარი პასოსს. სენიორ პასოსი 15 წლით გახდა კუერტენის მწვრთნელი.

კუერტენმა ყველაფერს მიაღწია.

სამჯერ მოიგო როლან გარო. **1997** - უგებს ყოფილ ჩემპიონებს, ტომას მუსტერს (6:7, 6:1, 6:3, 3:6, 6:4), ევგენი კაფელნიკოვს (6:2, 5:7, 2:6, 6:0, 6:4) და ფინალში სერხი ბრუგერას (6:3, 6:4, 6:2). ტურნირმა გრუნტზე ბრაზილიის დროშა გადაფინა და კუერტენმა იმ დროშას ძმის სიყვარულით, ბრაზილიის პატივისცემით აკოცა.

**2000** - ფინალში სამბამ შვედური თემა გადაფარა და გუსტავომ მაგნუს ნორმანს 6:2, 6:3, 2:6, 7:6 დაუმთავრა პროცესი. მანამდე გუსტავოსთან ხუთ სეტში დაიხურა კაფელნიკოვის ამბებიც. ჟენიას შემდეგ, ფინალში მორჩა ხუან კარლოს ფერეროც.

**2001** - ბრაზილიელი ტურნირზე მოქმედ ჩემპიონად, პირველ ნომრად, იმ გენერაციის შონ პენად ჩადის. ფინალში ფავორიტმა 6:7, 7:5, 6:2, 6:0 ესპანელი ალექს კორეჩა გააჩერა. მანამდე კუერტენმა გააგდო კაფელნიკოვი და ნახევარფინალში ხუან კარლოს ფერეროს მიხედა.

ერთეულებში გუსტავომ 20 ტურნირი მოიგო. სხვები მეტს ან ნაკლებს იგებდნენ. კუერტენმა ერთეულებში 358 თამაში აიღო. 195 ვერ აიღო და კუერტენი ძალიან კარგი ჩოგბურთით ისვენებდა.

12 წლის წინ, 4 დეკემბერს, კუერტენი რეიტინგის პირველი ნომრის ტახტზე წამოწვა. იმ სეზონში გუსტავო გახდა პირველი, რომელმაც ერთ ტურნირზე ორ ალიგატორს, ამერიკელებს - პიტ სამპრასს და ანდრე აგასის შეუსრულა. ეს მასტერსის თასზე მოხდა.

გუსტავო კუერტენი ძალიან კარგი მოთამაშე იყო.

კუერტენმა საყვარელ, ბუნჩულა, ბრაზილიურ და ცოტა ლოთურ კარიერაში სერიოზული ხალხი გადაჭრა. კუერტენი ღიმილით და ლაზერული ფორჰენდით იგებდა. მისტერ ღიმილმა სერიოზულ ტურნირებზე დაამუღამა ყველაფრის ბოლომდე მიყვანა. გუსტავო კუერტენი ნიუპორტში, ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს. მაგარი დღე იყო.

ჩოგბურთისთვის და, ალბათ, უფრო კუერტენისთვის.

## ყოფილი "ვეფხვები" ლონდონში გაისვრიან

შრი ლანკის ოლიმპიური ნაკრები გასამხედროებული დაჯგუფების "ტამილ ილამის განმათავისუფლებელი ვეფხვების" ყოფილი წევრებისგან შეივსო.

BBC-ს ცნობით, შრილანკელთა ღირსებას ლონდონის ოლიმპიურ სასროლეთში რამდენიმე სნაიპერი დაიცავს. უფრო სწორად, იმას გააკეთებენ, რაც ყველაზე უკეთ ეხერხებათ - მიზანში სროლას, ოღონდ არა ადამიანებზე, არამედ მრგვალ სამიზნეებზე.

სხვა "ბოევიკები" კი, შესაძლოა, ვიხილოთ როგორც მოცურავეები, მძლეოსნები თუ კრიკეტის მოთამაშეები, რომლებიც ოლიმპიურ გუნდში ყოფილ აჯანყებულთა შორის ნიჭიერთა კონკურსით შეირჩნენ.

აჯანყებულები - "ტამილ ილამის განმათავისუფლებელი ვეფხვები" შრი ლანკაში იბრძოდნენ კუნძულზე ტამილის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისთვის. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან 2009 წლამდე აჯანყებულებს ომი ჰქონდათ გაჩაღებული სახელისუფლებო ჯარებთან, ვიდრე მათ იმავე წლის იანვრის ბოლოს არ აიღეს აჯანყებულთა ბოლო საყრდენი პუნქტი და ამით წერტილი დაუსვეს სამოქალაქო ომს, რომელიც 25 წელიწადს გრძელდებოდა.

## ცისფერი ბილიკები არჩილ გეგენავას ჩააბარეს

საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციას უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში არჩილ გეგენავა უხელმძღვანელებს. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საკონფერენციო დარბაზში დღეს ჩატარებულ რიგგარეშე ყრილობაზე დღის წესრიგის მთავარი საკითხი სწორედ საპრეზიდენტო არჩევნები იყო. არჩილ გეგენავამ, პრეზიდენტობის ერთადერთმა კანდიდატმა, დელეგატთა სრული მხარდაჭერა მიიღო. ყრილობას ესწრებოდნენ საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი, ფედერაციის გამგეობის, წყალბურთის, წყალში ხტომის, ცურვის მწვრთნელთა საბჭოსა და სამხარეო ფედერაციათა, ასევე კლუბების წარმომადგენლები.

"საწყლოსნო სახეობების განვითარება მთლიანად ქართული სპორტის წინსვლისთვის უმნიშვნელოვანესია. ჩემთვის დიდი პატივია ამ თანამდებობაზე დანიშვნა. დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის. ვეცდები, ნდობა გავამართლო და საწყლოსნო სახეობების წარმატებებსაც მაქსიმალურად შევუწყო ხელი", - განაცხადა ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა.

აქამდე საწყლოსნო სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი იყო ალექსანდრე ბითაძე, რომელმაც ვადაზე ადრე, საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა.

## ლონდონის ოლიმპიადის რელიგიურ ცენტრში - ყველა სახის აღმსარებელი

ბრიტანეთის ოლიმპიური კომიტეტის ინიციატივით, ლონდონის ოლიმპიურ სოფელში გაიხსნება რელიგიური ცენტრი სალოცავად და ღვთისმსახურების ჩასატარებლად ყველა სახის რელიგიური აღმსარებლებისთვის - ქრისტიანობის, ისლამის, იუდაიზმის, ინდუიზმის თუ ბუდიზმის მიმდევართათვის.

სპორტსმენთა და დელეგაციის წევრთა სამოძღვრებო მეურვეობას გასწევს ხუთი მსოფლიო რელიგიის 200 ღვთისმსახური.

ოლიმპიურ თამაშებზე (27 ივლისი - 12 აგვისტო) განსაკუთრებული პრობლემები ექნებათ მუსულმან სპორტსმენებს, რადგან ეს პერიოდი ემთხვევა რამადანს - მარხვის თვეს. ორი წლის წინათ ზოგიერთი ისლამური ორგანიზაცია ლონდონის ოლიმპიური თამაშების თარიღის შეცვლასაც კი ითხოვდა.

ოლიმპიური რელიგიური ცენტრის ხელმძღვანელის, ანგლიკანური ეკლესიის მსახურის, დუნკან გრინის ინიციატივით, მუსულმან სპორტსმენებს, მათი რელიგიური მოთხოვნილების შესაბამისად, შეცვლილი ექნებათ კვების გრაფიკი. სპორტსმენებს მიეცემათ საუზმობის შესაძლებლობა მზის ამოსვლამდე - როგორც ეს რამადანის დროს არის მიღებული. ასე რომ, მუსულმანი სპორტსმენების მთავარი მტერი იქნება უძილობა, რადგან მზის ამოსვლამდე მოუწევთ ადგომა.

ინგლისისა და უელსის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენცია თამაშების დროს აწყობს ახალგაზრდულ ბანაკს, რომელიც წმიდა ბონავენტურის სკოლასთან, ოლიმპიური სოფლის მახლობლად, აღმოსავლეთ ლონდონში იმოქმედებს 1-დან 13 აგვისტომდე. ეპისკოპატის მიწვევაზე მზადყოფნა გამოთქვეს 13 ქვეყნის, მათ შორის, აშშ-ის, ავსტრალიის, პოლონეთის, ლიტვის, უგანდისა და კენიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა.

# ევრობალასტი

ზურაბ თალაკვაძე


*დუდა სანაძე (7) ალეხანდრო ბარეარაზე ავიდა.*

16 წლამდელებში საქართველოს ნაკრებმა სომხეთს 106:50 მოუგო. +56 ყველა შემთხვევაში სასიამოვნოა. სტატისტიკა სტატისტიკას ინახავს და კარგი იყო, +56 ჩვენთან დარჩება. 20 წლამდელებში საქართველოს ნაკრებმა ესპანეთთან 49:111 წააგო. -62 ყველა შემთხვევაში ცუდია. ესპანეთი ამ ასაკშიც ესპანეთია და საქმეს გემოვნებით აკეთებს. ესპანეთთან წაგება უხერხული არ არის. უბრალოდ, თუ თამაშისას უფრო მეტით აგებ, ვიდრე ქულას იღებ, ეს უკვე გაუგებარი, გაუმართლებელი ხდება. დავით უსტიაშვილი კარგი მწვრთნელია. მოქნილი აზროვნებით, სასიამოვნო მეთოდებით, სათქმელის გადმოცემის საკმარისი უნარით. უსტიაშვილი ბევრად კარგია, ვიდრე ის ნაკრები, რომელიც დათომ სლოვენიაში წაიყვანა. 50:88 ლატვიასთან, 67:103 თურქეთთან, -62 ესპანეთთან. საქართველოს ნაკრები პირველი ეტაპის ბალასტი იყო.

ესპანეთთან ვერ მოვხსენით მოსახსნელი. ოთხ მეოთხედში 22 (7 სხვის ტერიტორიაზე) მოხსნა ცოტა უხერხულია.

ესპანეთთან ვერ მოვაგვარეთ პრობლემები დაცვაში. ესპანელებმა 55 საშუალოდან 35 (63.6 %) ჩასვეს. ესპანეთი ჩვენთან ოფიციალური თამაშის დროს ვარჯიშობდა, სპარინგობდა.

ესპანეთმა სამიანები საშუალოდ (21/7) გაუშვა და აკურატულად მოხსნა თითქმის ყველაფერი, რაც ვერ ჩასვა. ფავორიტმა ჩვენი ტერიტორიიდან 18 მოხსნა წამოიღო. უხერხულია.

ესპანეთმა თამაში 17 პასით და 8 შეცდომით დახურა. რესპექტაბელური სტატისტიკაა.

საქართველომ თამაში 4 პასით და 20 შეცდომით დახურა. ნაკრები ამ სტატისტიკაზე უკეთესი უნდა იყოს. უსტიაშვილის ინტელექტი მეტს იმსახურებს. რაღაც არ აეწყო.

შარშან, ევროპის ჩემპიონატზე, უკეთეს გუნდებთან უკეთესად თამაში ვისწავლეთ. სწავლის სურვილი ნამდვილად იყო და მთელი ნაკრები ბოლომდე ილლებოდა. რუსეთთან მინუს ცოტას წაგება მისაღებია. იმ მომენტში ის წაგება მომდევნო, უფრო წარმატებული თამაშების წინ ექსკურსია გამოვიდა. კირილენკოსთან და ხრიაპასთან წაგებით ნაკრებმა კომპლიმენტები დაიმსახურა. ის რუსეთი იმ ჩემპიონატის მესამე ნაკრები გახდა. საქართველომ კარგად ითამაშა სლოვენიასთან და მხოლოდ მეორე ტაიმში, პერიმეტრის გახსნით წავაგეთ. ის საქართველო აგებდა და სწავლობდა. ეს საქართველო აგებდა და ამ წაგებაზე წერა ძნელია. რაზე უნდა წერო? მინუს სამოცდაორზე? უსიამოვნოა. ამ ჰანდიკაპის შემდეგ ბიჭებმა უნდა დაისვენონ და დასვენების დრო არ არის. დღეს ახალი ტური იწყება. მეორე, XIII-XVI ადგილებისთვის წვალებაში ესტონეთი, შვედეთი და მონტენეგრო დაგვისვეს. ამას მიზერული აზრი აღარ აქვს.

ესპანეთი ჩვენი ჯგუფიდან პირველი ადგილით გავიდა. მეორეზე თურქეთი დაჯდა. საინტერესო, მძიმე მატჩში თურქეთმა ლატვიას დამატებით დროში 64:61 მოუგო. თურქეთი კარგი იყო. ლატვიაც. ესპანეთი ამ ჯგუფის კოპერფილდია.

ინდივიდუალურად ყველამ ცუდზე უარესად გააკეთა საქმე. ჩამოვყაროთ.

**ტეტელაშვილი** - 9 წუთი, 1 ქულა, 2 შეცდომა, მოხსნის გარეშე, კარგი თამაშის კოეფიციენტი მინუს 21. -21.

**ფხაკაძე** - 17 წუთი, 3 ქულა, 2 შეცდომა, მოხსნის გარეშე. საინტერესოა. თან, ძალიან უინტერესო. კარგი თამაშის კოეფიციენტი - მინუს 28. ტურნირის სტატისტიკა - 2.7 ქულა, 2.7 პასი, 1.7 მოხსნა, 5.3 მოხსნა.

**სანაძე** - 30 წუთი, 10 ქულა, 5 მოხსნა, პასის გარეშე, 3 შეცდომა. სანაძე ნაკრების ლიდერია, დიდი ნაკრების კანდიდატებში ზის და პატარებში უფრო აკურატულად უნდა ისროლოს. ესპანეთთან დუდამ 6 სამიანი გაუშვა. ექვსივე სხვაგან წავიდა. კარგი თამაშის კოეფიციენტი - მინუს 42. კარგი მოთამაშისთვის ცუდია. 15.7 ქულა საინტერესოა. 5.0 მოხსნაც წავა. 21/5 სამიანი არადამაკმაყოფილებელია.

**ბოქოლიშვილი** - ამ ნაკრების კიდევ ერთი პოპულარული, ჩვენს დონეზე გაპიარებული ბიჭი და ესპანეთთან არაფერი არ წავიდა. 30 წუთი, 8 ქულა, 3 მოხსნა, 2 პასი, 3 შეცდომა. 4 ნასროლი, 4 ცუდი სამიანი და კარგი თამაშის ცუდი კოეფიციენტი - მინუს 48. საშუალოდ იღებს 9.0 ქულას, 1.7 პასს და 2.7 შეცდომას.

**ჯავახიშვილი** - 5 წუთი და არაფერი. ყველაფერში ნული. არ უსვრია, არ გაუფუჭებია, არავინ არ დაულეწავს და მშვიდად იყო. კარგი თამაშის კოეფიციენტი - მინუს 13.

**მაჩალაძე** - 11 წუთი, 1 დაფარება. მშვენიერი. დაფარება ესპანეთთან უნდა დაიმახსოვრო. ვისაც დაუფარე, ის შეიძლება მალე "მემფისში", მარკ გასოლთან ან "ბარსელონაში", სენიორ ნავაროსთან წავიდეს. ხდება ხოლმე. ლიმიტირებულ დროში 3 პერსონალურიც მიიღო. ბევრია. თავის მინუს თვრამეტთან ერთად.

**თენიეშვილი** - 25 წუთი, 4 ქულა, 0 მოხსნა, 0 პასი, 4 შეცდომა, 4 ფოლი. კარგი თამაშის კოეფიციენტი - მინუს 38.

**ალხანაიძე** - 23 წუთი, 6 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 3 ფოლი. 4 ორიანიდან 2 გამოიყენა. კარგი თამაშის კოეფიციენტი - მინუს 28.

**როგავა** - დიდ ნაკრებში გამოიძახეს როგავა, არ გამოიძახეს გამყრელიძე. თაობები იცვლება და თაობებში ნიჭი უნდა შეიცვალოს. მარტო თაობის შეცვლა არ არის საკმარისი უკეთესი შედეგისთვის. როგავა, ალბათ, კარგი ბიჭია და ესპანეთთან დაკარგული იყო - 8 წუთი, უქულოდ, უპასოდ, 1 შეცდომით, ერთი არაზუსტი სამიანით. მინუს 12 სხვების ფონზე ჯეკპოტია. დიდებში სხვა კალათბურთი წავა.

**ლომინაშვილი** - 5 წუთში 2 ქულა და 1 შეცდომა. მინუს 5. ცოტა დროში ცოტა მოასწრო. 204 სანტიმეტრში მეტი აგრესია და ნაკლები რიდი უნდა იყოს. ნორმალური თამაში და ცუდი ჯამური სტატისტიკა. სამ თამაშში უფრო მეტი ფოლი (9) მიიღო, ვიდრე - ჯამური ქულა (4) და მოხსნა (2). ცუდია.

**ბურჯანაძე** - 35 წუთი, 15 ქულა, 5 მოხსნა, 1 შეცდომა, 1 ფოლი. კარგი სტატისტიკა წამოიღო. ამ ამბავში კარგი და ისე, მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან ცუდი იყო - მინუს 58. ბექამ 17 სროლიდან 5 გამოიყენა, 9 სამიანიდან 6 სხვაგან გაუშვა. ბურჯანაძე ნიჭიერია. ეს ნიჭი უკეთ უნდა გამოვიყენოთ და რაც არ იცის, ის უნდა ვასწავლოთ. ვინც უნდა ასწავლოს, იმან. ბურჯანაძე ტურნირზე - 12.7 ქულა, 6.3 მოხსნა.

ელიაძეს არ უთამაშია. დაისვენა და ვინც ითამაშა, ისიც დასვენებული იქნება.

დავით უსტიაშვილი ამ ნაკრებზე უკეთეს გუნდს იმსახურებს.

საქართველოს 20 წლამდელებმა პირველ სამ თამაშში 69 სამიანიდან 16 გამოიყენეს. 23.2 %. გამოსასწორებელია.

საქართველოს 20 წლამდელებმა პირველ სამ თამაშში საჯარიმოების 67.7 პროცენტი (62/42) გამოიყენეს. დიდი ბიჭების ცუდი სტატისტიკა.

საქართველოს 20 წლამდელებმა ცუდად ითამაშეს. 20 წლამდელებისთვის ცუდად.

ჯგუფური ეტაპის ბოლო თამაში ესპანეთთან 49:111 წავაგეთ. -62 ყველა შემთხვევაში ცუდია. ესპანეთი ამ ასაკშიც ესპანეთია და საქმეს გემოვნებით, არაჩვეულებრივად, ესპანურად აკეთებს. ესპანეთთან წაგება გეპატიება, არ გეჩხუბებიან და კუთხეში არ დაგაყენებენ. უბრალოდ, თუ თამაშისას უფრო მეტით აგებ, ვიდრე ქულას იღებ, ეს გაუგებარი, გაუმართლებელი ხდება. დავით უსტიაშვილი კარგი მწვრთნელია. მოქნილი აზროვნებით, სასიამოვნო მეთოდებით, სათქმელის გადმოცემის საკმარისი უნარით. უსტიაშვილი სულ სწავლობს. გორდონ ჰერბერტისგან, კენ შილდსისგან, იგორ კოკოშკოვისგან. უსტიაშვილი ბევრად კარგია, ვიდრე ის ნაკრები, რომელიც დათომ სლოვენიაში წაიყვანა. 50:88 ლატვიასთან, 67:103 თურქეთთან, -62 ესპანეთთან. საქართველოს ნაკრები პირველი ეტაპის ბალასტი იყო.

### U 20. ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია

**I ჯგუფური ეტაპი.**
**ესპანეთი - საქართველო 111:49** (29:13, 25:12, 32:19, 25:5)
**ესპანეთი**: **სანსი** (17), **დიესი** (17), **ხ.ფერნანდესი** (15).
**საქართველო**: **ბურჯანაძე** (15+5 მ), **სანაძე** (10), **ბოქოლიშვილი** (8), **ალხანაიძე** (6), **თენიეშვილი** (4), **ფხაკაძე** (3), **ლომინაშვილი** (2), **ტეტელაშვილი** (1).

გამომცემლობა
ინტელექტი
ჩანაწერები
20 წიგნი
გამოუქვეყნებელი დღიურები
ცნობილი ადამიანების უცნობი ავტობიოგრაფიული შტრიხები
ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ



დაგვიკავშირდით:
თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5
ტელ: (+995 32) 2 25 05 22
(+995 32) 2 47 55 54
inteleqti@caucasus.net
info@intelekti.ge
www.intelekti.ge
www.intelekti.ge